ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №26

აბაშა, 2023 წლის 29 დეკემბერი

,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ოდენობის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ოდენობის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის №11 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 22/05/2023 სარეგისტრაციო კოდი 010250000.35.110.016477) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის

1. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურების ზღვრული ოდენობა განისაზღვროს თვეში არაუმეტეს 820 ლარის ოდენობით.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: გელა ხოშტარია